საწვრთნელი მატჩი

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 15 თებერვალი.

“დინამო” (თბილისი) – სსრ კავშირი (ნაკრები) – 0:2 (0:2).

“დინამო”: მჭედლიძე, ჟიბა (ანდღულაძე), ჩივაძე, პაიკიძე, უკლება, კერესელიძე (გურული), კოპალეიშვილი (მახარაძე), სულაქველიძე, მესხი (ჩქარეული), ცაავა, შენგელია.

სსრ კავშირი: დასაევი (ჩანოვი), ბესონოვი, ბალტაჩა, ბალი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი, ანდრეევი (ევტუშენკო), როდიონოვი (ოჰანესიანი), სუსლოპაროვი, ბლოხინი.

მსაჯი: მ. მკრტჩიანი (ერევანი).

გუშინდელი საკონტროლო მატჩი სსრ კავშირის ნაკრებსა და თბილისის “დინამოს” შორის წინასასეზონო მზადების დასკვნითი ეტაპის მნიშვნელოვანი მოვლენაა. მართალია, სეზონის მთავარ შეჯიბრებებამდე საკმაო დროა, ვინაიდან საკავშირო ჩემპიონატი 26 მარტს იწყება, ხოლო ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პორტუგალიელებთან 27 აპრილს აქვს, მაგრამ მანამდე სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩებია. ეს კი ფეხბურთელთა სრულ მზადყოფნას მოითხოვს.

სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის “დინამოს” შეხვედრები ასეთ პერიოდში ადრეც გვინახავს, როგორც წესი, ამ დროს გუნდების თამაშში მრავალი ხარვეზია, ისინი არ არიან მზად სრული დატვირთვით საბრძოლველად, გამონაკლისი არც გუშინდელი შეხვედრა იყო: სსრ კავშირისა და თბილისის “დინამოს” გამოცდილი ოსტატებიც კი ზომაზე მეტად ცდებოდნენ, ხშირი იყო ტექნიკური წუნი, ბურთი არ ემორჩილებოდა მოთამაშეებს, არ იყო მოწესრიგებული ტაქტიკური ურთიერთმოქმედება, ხოლო რაც შეეხება კარში დარტყმებს, აქ კი სრული უზუსტობა ვიხილეთ: ცნობილი ბომბარდირებიც კი დიდი მანძილით აცდენდნენ ბურთს კარს.

მაინც, ცალკეულ მომენტებში თამაში საინტერესო და დაძაბული იყო, მაყურებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს თბილისის “დინამოს” ახალბედა მოთამაშეებს, რომლებიც ახლა იდგამენ ფეხს ჩვენს კოლექტივში.

ანგარიში მე–15 წუთზე გახსნა როდიონოვმა, რომელმაც ყველას დაასწრო მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებულ ბურთზე და ზუსტად დაარტყა კარში. 36–ე წუთზე ჟიბამ ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, 11–მეტრიანი უშეცდომოდ დაარტყა ბურიაკმა – 2:0.

“ლელო”, 16 თებერვალი, 1983 წ.